

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას  
შენიშვნები და კომენტარები

„ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის  
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

4 მარტი, 2013 წ.

**პროექტის მოკლე აღწერა და ძირითადი გარემოსდაცვითი საფრთხეები**

განსახილველად წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის თანახმად, შპს „ყაზბეგი ჰესი“ გეგმავს ყაზბეგის რაიონში, მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალი, ქისტურა), რომელიც მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადია, 6 მგვტ<sup>1</sup> დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

დაგეგმილი „ყაზბეგი ჰესის“ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან რამოდენიმე ასეულ მეტრში. ის მოიცავს მდინარე ხდისწყალის დაახლოებით ორკილომეტრიან მონაკვეთს, მდინარე თერგთან შესართავიდან ზემოთ. ეს არის ვიწრო მდინარის ხეობა, რამოდენიმე ჩანჩქერითა და წყალვარდნილით. „ყაზბეგი ჰესი“ დერივაციული ტიპის ჰესია, რომლის სადაწნეო მილსადენის სიგრძე 1 კმ-ს აღემატება. პროექტი გულისხმობს დერივაციის უბანზე მდინარის კალაპოტში ე.წ. „მდინარის სანიტარული ხარჯის“ დატოვებას, რაც განისაზღვრა მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ით; დანარჩენი წყალი, ანუ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 90%-ი, დერივაციული მილის საშუალებით, მიემართება ტურბინებისკენ. გზშ ანგარიშის თანახმად, „სადაწნეო მილსადენის ტრასა გადის უაღრესად რთულ პირობებში, მაღალქანობიან ფერდობებზე“. პროექტის დიზაინის აღნიშნული თავისებურების, ასევე სამშენელო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით (სადაწნეო არხის გაყვანა „მხოლოდ ბურღვა აფეთქებითაა შესაძლებელი“ გვ. 50), ჰესის მშენებლობასა და ოპერირებასთან დაკავშირებულ ძირითად გარემოსდაცვით რისკს წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების შემცირება გამოწვეული ჰაბიტატების განადგურებით, დეგრადაციითა და ფრაგმენტაციით. ეს რისკი კიდევ უფრო ძლიერდება იმის გამო, რომ ხდის ხეობა ხელუხლებელ ეკოსისტემას წარმოადგენს, რომელიც მრავალი იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობის თავშესაფარია. სახეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანადაა დამოკიდებული მდინარის ეკოსისტემის მდგომარეობაზე. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მონაცემებით (IUCN, 2004)<sup>2</sup>, გადაშენების წინაშე მყოფი სახეობების 80%-ის საფრთხეს წარმოადგენს სწორედ ჰაბიტატების განადგურება/დეგრადაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ ანგარიშის ძირითად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს იმ ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების (ფლორა, ფაუნა, ლანდშაფტი) შეუქცევადი დეგრადაცია, წარმოადგინოს მათი თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსაციის გზები.

**პროექტის საჭიროება, ალტერნატივები და გზშ ანგარიშის ხარისხი**

როგორც გზშ ანგარიშის შესავალი ნაწილიდან ირკვევა, შპს „ყაზბეგი ჰესის“ დაკვეთით, გზშ კვლევა ჩაატარა და ანგარიში შეადგინა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „თბილწყალგეომ“, „თბილწყალგეოსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. შპს „ყაზბეგი ჰესმა“ გზშ ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ განცხადება გაზეთში „24 საათი“ 2012

<sup>1</sup> შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ 2012 წლის 1 ნოემბერს გაზეთში „24 საათი“ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანია გეგმავს არა 6 მგვტ, არამედ 5 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობას (გამოქვეყნებული განცხადების ასლი თანდართულია გზშ ანგარიშს).

<sup>2</sup> Primack R., 2004, A Primer of Conservation Biology.

წ. 1 ნოემბერს გამოაქვეყნა. საზოგადოებრივი განხილვებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზშ ანგარიშებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს (არ ჩატარებულა დამატებითი კვლევა). აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ „თბილწყალგეომ“ გზშ კვლევა ჩაატარა და ანგარიში მოამზადა, უკეთეს შემთხვევაში - 21, ხოლო უარეს შემთხვევაში - 15 დღეში (თუ გამოვაკლებთ უქმე დღეებს) - 10 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე პერიოდში. ასეთ მოკლე ვადაში გზშ-ს ჩატარება აბსოლუტურად არარეალისტურია და რა თქმა უნდა, ეს ანგარიშის ხარისხზე პირდაპირ აისახა.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ გაზეთში „24 საათი“ გაკეთებულ გზშ ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ განცხადებაში აღნიშნულია, რომ გზშ ანგარიში „*მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად*“. ევროკავშირის მართლაც გააჩნია ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა, თუმცა, ის არ არის რამენაირად დაკავშირებული ჰესების მშენებლობასა და ოპერირებასთან და მიუთმეტეს, არ აყალიბებს რაიმე სტანდარტებს ამ სფეროში. როგორც ჩანს, კომპანიის განცხადებაში „*ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკის*“ მოხსენიება წარმოადგენდა საკმაოდ უსუსურ მცდელობას, მეტი სარწმუნოების ელფერი მიეცა განსახილველი დოკუმენტისათვის.

ანგარიში, პრაქტიკულად, არ პასუხობს კითხვას - რა შესაძლო ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოზე? ანგარიშის უდიდესი ნაწილი (117-გვერდიანი (დანართების გარეშე) დოკუმენტიდან 104 გვერდი) ეთმობა ტექნიკური პარამეტრების და ფონური მდგომარეობის მეტად არასრულფასოვან აღწერას, რომელშიც უსისტემოდ გაბნეულია პროექტის გარემოზე ზეგავლენის ზერელედ აღწერილი საკითხები, ხოლო 1.5 გვერდი ეთმობა შემარბილებელ ღონისძიებებს.

ანგარიში გაჯერებულია უსარგებლო, არაინფორმატიული ნახაზებით და სავარაუდოდ, სხვა ანგარიშებიდან კოპირებული, ყოვლად უსარგებლო თავებით, რომელებიც ან არ ასახავენ იმ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს ამ თავებში, ან საერთოდ უადგილოა გზშ ანგარიშისთვის. ასეთებია, მაგალითად:

- თავი 1. ძირითად ცნებათა განმარტება,
- თავი 2. გარემოსდაცვითი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე დოკუმენტები,
- თავი 3-ის ქვეთავები: სამშენებლო მოედნის მოკლე დახასიათება, მშენებლობის ძირითადი სამშენებლო მასალით, ნაკეთობებით და ნახევარფაბრიკატებით უზრუნველყოფის წყაროები, მშენებლობის განხორციელების გეგმა, ძირითადი მოთხოვნები მოიჯარე ორგანიზაციისადმი, მშენებლობის მართვის ორგანიზაცია, სამუშაოთა შესრულების ხარისხის საწარმოო შემოწმება, უსაფრთხოების ტექნიკა და შრომის დაცვა, ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნის ნუსხა;
- თავში 4.12 „ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომების შესახებ“ ქვეთავი (ეს ნაწილი აშკარად კოპირებულია);
- მე-5 (გარემოზე მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული დამაბინძურებელ ნივთიერებათა დატვირთვისა და კონცენტრაციების განსაზღვრა), მე-6 (ხმაურის დონეების განსაზღვრა), მე-7 (ნარჩენების მართვა) და მე-8 (ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები) თავები, პრაქტიკულად, მთლიანად.

საჯარო განხილვებისთვის წარმოდგენილი გზშ ანგარიშის წინასწარი ვერსიის ბოლო აბზაცი (გვ. 116) საბოლოოდ ადასტურებდა, რომ გზშ ანგარიში უბრალოდ კოპირებული იყო სხვა დოკუმენტიდან. ანგარიშის ბოლო, დასკვნით აბზაცში ნათქვამი იყო: „*ამრიგად, ანგარიშის შედეგებიდან გამომდინარე, საკანალიზაციო კოლექტორის, სატუმბო სადგურისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებში გარემოს არცერთ ელემენტზე არ აღინიშნება რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება და ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაცია არ იწვევს ეკოლოგიური სიტუაციის არავითარ ცვლილებას*“. ჩვენ მოვიძიეთ და აღმოვაჩინეთ, რომ განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ნაწილები მექანიკურად იყო გადმოღებული იმავე „თბილწყალგეოს“ მიერ, ქალაქ ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე 30 და 100 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო სატუმბო სადგურისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშიდან. „ყაზბეგი ჰესის“ პროექტის გზშ ანგარიშის წარმოდგენილ ვარიანტში მის ავტორებს ამ წინადადების პირველი ნაწილი შეუცვლიათ, ხოლო დასკვნა იგივე დაუტოვებიათ. ეს მაგალითი კიდევ ერთხელ მიუთითებს წარმოდგენილი ანგარიშის უხარისხობაზე. მომავალში სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს და შემოიღოს დისკვალიფიკაციის გარკვეული სისტემა პლაგიატიზმსა და არაკეთილსინდისიერ საქციელში შემჩნეული გზშ ავტორების (საკონსულტაციო კომპანიების/კონსულტანტების) მიმართ.

ზემოაღნიშნულის ფონზე, ანგარიში საერთოდ არ სცემს პასუხს შემდეგ ფუძემდებლურ კითხვებს - საერთოდ, რა საჭიროა პროექტი?! დგას კი მისი განხორციელების აუცილებლობა?! რა მიზანს ემსახურება ის (ელექტროენერჯის გამომუშავება არ შეიძლება იყოს მიზანი)?! შესაძლებელია, თუ არა მიზნის მიღწევა ალტერნატიული საშუალებებით და რომელია მათ შორის ყველაზე მისაღები, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით? ამგვარად, ანგარიშში არ ჩანს პროექტის საჭიროება, მიზანი და პროექტის მიზნის ალტერნატიული გზებით მიღწევის საშუალებები. აქვე აღვნიშნავთ, რომ გზმ ანგარიშის დანართებად წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის არცერთი განკარგულება, ასევე საქართველოს მთავრობას, ესკოსა და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის დადებული მემორანდუმი არ ასაბუთებს პროექტის საჭიროებას.

ალტერნატივების განხილვისადმი მიძღვნილ თავში ზერელედაა განხილულია მხოლოდ დაგეგმილი ჰესის ტექნოლოგიის (დიზაინი) რამდენიმე ალტერნატივა. ამ ნაკლის შესახებ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს თავის შენიშვნებში გარემოს დაცვის სამინისტრო და მიუთითებს, რომ „გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი ჰესის შემადგენელი ინფრასტრუქტურების წყალმიმღები/კაშხალი, დერივაცია, ძალური კვანძი) ალტერნატიული ვარიანტების განხილვა/ანალიზი, რომელიც შერჩეული იქნება უპირატესად გარემოსდაცვითი კუთხით“. შპს „ყაზბეგი ჰესის“ პასუხი ამ შენიშვნაზე არ არის დამაკმაყოფილებელი. გზმ ანგარიშის საბოლოო ვარიანტშიც არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ნორმების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად საპროექტო გადაწყვეტილებათა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა. ეს კი წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულებით (დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის №14 ბრძანებით) დადგენილი მოთხოვნების დარღვევას (კერძოდ დებულების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი (ადგილმდებარეობის ალტერნატივები, მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი).

### **გზმ კვლევის ჩატარებისას გამოყენებული მონაცემები**

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გზმ-ს პრინციპს წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში გამოყენებული მეთოდის კების მართებულობა, მოპოვებული ინფორმაციის, აგრეთვე დასკვნების ობიექტურობა და დასაბუთებულობა“.

კვლევაში გამოყენებული მონაცემები არ იწვევს ნდობას. ასე, მაგალითად, 4.2 ქვეთავში (კლიმატი) მოცემულია ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურები, აბსოლუტური მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურები, ნალექების საშუალო თვიური და წლიური ჯამი, დღეღამური მაქსიმუმები, ჰაერის სინოტივე, მონაცემები ქარზე. ყველა ამ შემთხვევაში აღნიშნულია, რომ მაჩვენებლები ეფუძნება მრავალწლიური დაკვირვების მონაცემებს და არცერთ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული წლები.

რაც შეეხება ჰიდროლოგიურ მონაცემებს, ანგარიშში არაერთხელაა აღნიშნული, რომ მდინარე ბროლისწყალი საერთოდ არ არის ჰიდროლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი (ქვეთავები 4.3.1, 4.3.2, 4.3.3, 4.4, 4.6) და ამდენად, მდინარის საშუალო წლიური, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯების, ასევე, მყარი ხარჯის გათვლები ემყარება არა მრავალწლიური დაკვირვების შედეგებს (რაც აუცილებელია ჰიდროენერგეტიკული დანიშნულების ობიექტის მშენებლობისა და ოპერირებისთვის), არამედ ტექნიკურ სახელმძღვანელო მითითებებს (გეოგრაფიის ინსტიტუტში დამუშავებული მონოგრაფია „საქართველოს წყლის ბალანსი“, „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკური მითითებები“, „ჰიდროლოგიური ცნობარი „სსრ კავშირის ზედაპირული წყლის რესურსები, ტომი IX, გამოშვება I, „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო ტექნიკური მითითება“). ეს მითითებები (რომ არ ვიმსჯელოთ თავად ამ მითითებების გამოყენების მოცემულ სიტუაციაში გამოყენების ადეკვატურობაზე), როგორც ანგარიშიდან ჩანს, თავისთავად მოითხოვენ გარკვეული საბაზისო მონაცემების არსებობას, რომელიც მდინარე ბროლისწყალის შემთხვევაში, კვლავ არ არსებობს. ამდენად, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი ჰიდროლოგიური გათვლები საერთოდ არ იწვევს ნდობას. ჰიდროლოგიური მონაცემების სანდოობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასევე მდინარის ე.წ. „სანიტარული ხარჯის“ დასადგენად, რომელიც პროექტის მიხედვით, საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ს შეადგენს. ჩამოთვლილი ლიტერატურიდან არცერთი (!) არ არის მოცემული ანგარიშზე თანდართულ „გამოყენებული ლიტერატურის“ ჩამონათვალი. ამგვარი არამეცნიერული ნამუშევარი კიდევ უფრო მეტად არასანდოს ხდის კვლევას.

ლიტერატურის ჩამონათვალში მოცემული წყაროები სხვა მხრივაც წარმოაჩენს გზმ ანგარიშის არასანდოობას. კვლევაში გამოყენებულია სამართლებრივი აქტები ასოციაცია „სამართლებრივი საზოგადოების“ 2000 წელს გამოცემული კრებულიდან. 2000 წლის შემდეგ არა მხოლოდ ჩამოთვლილ აქტებში შევიდა მრავალრიცხოვანი

*მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013*

ცვლილებები, არამედ მთლიანად შეიცვალა გზმ ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა. როგორც ანგარიშიდან ჩანს, მისი ავტორები ძალზე სუსტად იცნობენ საქართველოს კანონმდებლობას. მაგალითად, გამოყენებულ ლიტერატურაში მოხსენიებული აქვთ კანონები „გარემოს დაცვის ნებართვების შესახებ“ და „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“, რომლებიც 2007 წლიდან აღარ არიან ძალაში. ტექსტში ორ ადგილას აქვთ მოცემული კანონების ჩამონათვალი (გვ. 8 და გვ. 55), ისიც უამრავი ხარვეზითა და შეცდომით. ამასთანავე, გაუგებარია, რაში დასჭირდათ ამ კონკრეტული გზმ კვლევისათვის, მაგალითად, საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფუძნებისა და მართვის შესახებ“ ან ველური ბუნების ფაუნისა და ფლორის საფრთხეში მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენცია (CITES). ამ უზუსტობებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა წარმოდგენილი ანგარიშის შეუსაბამობა მოქმედ სამართლებრივ ბაზასთან, რაც წარმოადგენს უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემის საფუძველს. გზმ ავტორების მიერ საკითხის არცოდნაზე და ერუდიციაზე ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ მათ ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივა საქართველოს მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ჰგონიათ (გვ. 55).

ლიტერატურის ჩამონათვალში, ასევე ტექსტში მოცემული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ლიტერატურა, თითქმის მთლიანად, საბჭოთა პერიოდის საკმაოდ მოძველებულ მასალებს მოიცავს. არ არის გამოყენებული არცერთი თანამედროვე მეთოდოლოგია, რომლითაც ფასდება ჰესების დაპროექტებისა და გარემოზე ზემოქმედების საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ატმოსფერული ხარისხის დაბინძურების საკითხს, რაც პროექტით წარმოდგენილი საქმიანობის შემთხვევაში, გარემოს ამ კომპონენტზე ზეგავლენის მასშტაბისა და ხარისხის გათვალისწინებით, ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების რიგს მიეკუთვნება.

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში მოცემულია მხოლოდ ორი, საკმაოდ მოძველებული ნაშრომი იქთიოფაუნის შესახებ (ელანიძე და სხ. 1970; P. Эландидзе, 1983). აქვე მოხსენიებული დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდი ([www.apa.gpv.ge](http://www.apa.gpv.ge)) არავითარ ინფორმაციას არ შეიცავს ხდის ხეობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გამო, წარმოდგენილი ანგარიში ვერ მისცემს საშუალებას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელ ორგანოს, იმსჯელოს წარმოდგენილი მონაცემების უტყუარობასა და დასკვნების მართებულობაზე, რასაც ითხოვს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.

### გზმ კვლევაში მოცემული გარემოს კომპონენტების ანალიზი

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მიხედვით, გზმ ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოს კომპონენტების შესწავლასა და ანალიზს მათზე მოსალოდნელი ზემოქმედების კონტექსტში (მუხლი 5, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა.გ.“). „გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს (მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ.“).

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილია რამდენიმე მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმება, რომელსაც მიერთებულია საქართველო, ასევე საქართველოს კანონები, არ არის მოცემული ანალიზი, თუ რამდენად სრულდება ან ირღვევა მათი მოთხოვნები წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შედეგად.

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია მონაცემები ჰაერის ტემპერატურის შესახებ, თუმცა ეს მონაცემები არ არის გამოყენებული არც ტექნოლოგიური ალტერნატივების და არც გარემოს კომპონენტებზე საქმიანობის ზემოქმედების შეფასებისას - მაგალითად, არ არის გაანალიზებული, არსებულ კლიმატურ პირობებში, მოხდება თუ არა წყლის გაყინვა, თუ საგუბარსა და ძალურ კვანძს შორის დარჩენილ მდინარის მონაკვეთში დარჩება 0,21 მ<sup>3</sup>/წმ წყალი.

საერთოდ არ არის მოცემული ანალიზი იმისა, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ჰესის მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეული (როგორცაა, მაგალითად, ბურღვა-აფეთქებებითა და მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული) შეწუხების ფაქტორი, ბუნებრივ კალაპოტში მხოლოდ 0,21 მ<sup>3</sup>/წმ წყლის დატოვება ათი თვის განმავლობაში, სამანქანო გზის გაყვანა და ა.შ.) გარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები ხდის ხეობის ბიომრავალფეროვნებაზე (ფლორა, ფაუნა, ლანდშაფტი). ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

### მდინარის სანიტარული ხარჯი

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013



გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო დასაბუთება იმისა, თუ როგორ იქნა გამოთვლილი მდინარის საშუალო წლიური ხარჯი. მასში აღნიშნულია, რომ გამოთვლები ეფუძნება მდ. ჩხერისა და მდ. თერგის წლიური ხარჯების დაკვირვების მონაცემებს. იმის გათვალისწინებით, რომ მდ. თერგის მონაცემები მოძველებულია (მოიცავს მხოლოდ 1928-1940 და 1953-1986 წლებს<sup>3</sup>), ხოლო მდ. ჩხერის მონაცემები არ არსებობს (ანგარიშში არ ჩანს, არსებობს, თუ არა) შესაბამისად, მიღებული პარამეტრები არ იწვევს ნდობას. ამასთანავე, გაუგებრად და უზუსტოდაა აღწერილი თავად მეთოდი და გამოყენებული ფორმულა, ვინაიდან არც ამ პარამეტრების განმარტებებია ტექსტში წარმოდგენილი და არც ლიტერატურის სიაშია მოცემული შესაბამისი წყარო.

გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის ახსნა / დასაბუთება / შესწავლა იმისა, თუ რატომ იქნა არჩეული და რა ზეგავლენა ექნება გარემოზე პროექტის განხორციელების შემოთავაზებულ ვარიანტს - მდინარის წყლის 90%-ის მილსადენში მოქცევას და დაახლოებით ორკილომეტრიან მონაკვეთზე მდინარის კალაპოტში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას (რაც ათი თვის განმავლობაში 0, 21 მ<sup>3</sup>/წმ წყლის დატოვებას ნიშნავს).

უცნობია, რატომ არის შემოთავაზებული წყლის სანიტარული ხარჯი 10% და არა მაგალითად, 5%, 15%, 30%, ან მეტი. არ არის დასაბუთებული ის, რომ საშუალო მრავალწლიანი ხარჯის 10%-ი (რომელიც მეტად არასანდო გათვლებითაა დადგენილი) საკმარისი იქნება ზოგადად, მდინარის ეკოსისტემისთვის და კერძოდ, მდინარე ბროლისწყალზე დამოკიდებული ფაუნისთვის, მათ შორის თევზებისთვის.

დღეს მსოფლიოში გამოიყენება მდინარის ეკოლოგიური ხარჯის დადგენის 200-ზე მეტი მეთოდი<sup>4</sup>. თუმცა მკვლევარები თანხმდებიან, რომ არცერთი ცალკე აღებული მეთოდი სრულყოფილი არ არის და საჭიროა კომპლექსური მიდგომა; თითოეული მდინარისთვის ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს ეკოლოგიური ხარჯის ის ოდენობა, რომლის პირობებშიც პროექტს მინიმალური ზემოქმედება ექნება გარემოზე. ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული თანამედროვე მეთოდოლოგიაა Building Block Methodology (BBM)<sup>5</sup>, რომელიც აგებულია სხვადასხვა მეთოდებით მიღებულ მონაცემების (მდინარის ყველა ეკოლოგიური და ფიზიკური პროცესის, ასევე წყლის სხვა მომხმარებლების მიერ გამოყენება) ანალიზზე.

გარემოს დაცვის სამინისტრო თავის შენიშვნებში სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ გზმ ანგარიშში დასაბუთებულად უნდა იყოს განხილული ეკოლოგიური ხარჯის ის რაოდენობა, რომელიც არ მოახდენს ზეგავლენას მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე (შენიშვნა N5), რაზეც შპს „ყაზბეგი ჰესი“ ვერ სცემს დამაკმაყოფილებელ პასუხს. უფრო მეტიც, შპს „ყაზბეგი ჰესი“ თავისი პასუხით ადასტურებს, რომ წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე, არ შეიძლება გაიცეს დადებითი ეკოლოგიური დასკვნა: „ეკოლოგიური ხარჯის დასადგენად აუცილებელია მდინარის კომპლექსური გამოკვლევა ჰიდროლოგიის, ჰიდროგეოლოგიის, იხტიოლოგიის, ჰიდრობიოლოგიის და სხვ. მონაწილეობით, რაც საკმაოდ დიდ დროსთან და დანახარჯებთან არის დაკავშირებული“. გაუგებარია, რატომ არ დახარჯა დრო და თანხა შესაბამისი კვლევის ჩასატარებლად ინვესტორმა და რის საფუძველზე ითხოვს, ფაქტიურად, კანონდარღვევით, დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და მშენებლობის ნებართვის გაცემას?!

რაც შეეხება ინვესტორის მტკიცებას, რომ „აღნიშნული ნორმა (10%) მითითებულია აგრეთვე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ გარემოზე ზემოქმედების ნებართვებში,“ მას თავადვე აბათილებს მომდევნო წინადადებით: „საერთოდ ეკოლოგიური ხარჯი დადგენილი უნდა იქნეს თითოეულ მდინარეზე ცალკე-ცალკე“ (გვ.123). აქვე შეგახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული პრაქტიკის გარდა (როდესაც გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გაიცა 10%-იანი ლიმიტის პირობით), იყო შემთხვევაც, როდესაც ლაგოდების რაიონში ჰესების მშენებლობასა და ოპერირებაზე გაიცა უარყოფითი დასკვნაც, ვინაიდან ჩაითვალა, რომ კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, არ იყო საკმარისი ჰესების პროექტის განმახორციელებლების მიერ შემოთავაზებული 25%-იანი ლიმიტიც კი. ამასთანავე, სტანდარტულად 10%-ის დაწესება ყველა მდინარისათვის არც ლოგიკურია და არც სწორი. მაგალითისთვის, ავიღოთ იმავე შპს „ფერისათვის“ მდინარე თერგზე ჰესების მშენებლობისათვის გაცემული ნებართვები. იმ შემთხვევაში, მდ. თერგის „სანიტარულ ხარჯად“ (საშუალო წლიური ხარჯის 10%, 95%-იანი უზრუნველყოფის პირობებში) განისაზღვრა 1,97მ<sup>3</sup>/წმ, თუმცა შპს „ფერის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათ გადაწყვიტეს 2,54 მ<sup>3</sup>/წმ-ის დატოვება. ანუ, თერგის შემთხვევაში, ხსენებული 10%-იანი ლიმიტის ოდენობა წარმოადგენს მდინარე ხდის წყლის 100%-ს! თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე მდინარე წარმოადგენს ერთი და იმავე სახეობების ჰაბიტატს, ცხადია, რომ

<sup>3</sup> ეს ფაქტი ცნობილია „დარიალი ჰესის“ გზმ ანგარიშიდან

<sup>4</sup> იხ. <http://www.eflownet.org/downloads/documents/Tharme2003.pdf>

<sup>5</sup> იხ. [http://swrcb2.swrcb.ca.gov/waterrights/water\\_issues/programs/bay\\_delta/deltaflow/docs/exhibits/swrcb/swrcb\\_king2008.pdf](http://swrcb2.swrcb.ca.gov/waterrights/water_issues/programs/bay_delta/deltaflow/docs/exhibits/swrcb/swrcb_king2008.pdf)  
<http://www.eflownet.org/viewinfo.cfm?linkcategoryid=4&linkid=31&siteid=1&FuseAction=display>

ხდები 0,21 მ<sup>3</sup>/წმ წყლის ნაკადის დატოვება და თერგში 2,54 მ<sup>3</sup>/წმ-ის დატოვება არ არის ერთი და იგივე მასშტაბისა და ხარისხის ზემოქმედება გარემოზე.

### ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა

პროექტის განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობისა და ოპერირების შედეგად ყველაზე ძლიერი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა ბიომრავალფეროვნება - ფლორა, ფაუნა, ჰაბიტატები, ლანდშაფტი - რაც მის შეუქცევად დეგრადაციას გამოიწვევს.

გზმ ანგარიშში ნათქვამია, რომ „ჩატარდა ბოტანიკური კვლევები“, თუმცა, არ არის დაზუსტებული, რა მეთოდით და რა პერიოდში ჩატარდა ისინი, რაც ბადაებს კითხვებს მონაცემების სარწმუნოებასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული წყაროები პრაქტიკულად არ შედის ლიტერატურის ჩამონათვალში. ამის გარეშე ტექსტში ზოგიერთი ავტორის ხსენება აშკარად მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს პლაგიატთან და სხვა გზმ ანგარიშებიდან ნაწილების გაუაზრებლად კოპირებასთან.

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები ძალზე წინააღმდეგობრივია. მაგალითად, ანგარიშის 54-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ პროექტის ზემოქმედების ზონაში წარმოდგენილია „წითელი ნუსხის, წითელი წიგნის, ენდემური, იშვიათი სახეობები“; მომდევნო გვერდებზეც საუბარია არაერთ ასეთ სახეობაზე. დოკუმენტის 61-ე გვერდზე კი, აღნიშნულია, რომ „საველე ბოტანიკური კვლევების შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა მხოლოდ ერთი სახეობა: რადეს არყი - *Betula radexana*“.

ანგარიშში განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი ხევის მცენარეულობის ზოგადი დახასიათება (გვ. 59-61), თუმცა, ამ ნაწილს არაფერი აქვს საერთო კონკრეტულად ხდის ხეობასთან და მითუმეტეს, პროექტის ზეგავლენის შეფასებასთან და მხოლოდ სამეცნიერო შესწავლის ილუზიის შექმნას ემსახურება.

დოკუმენტის მე-60 გვერდზე აღნიშნულია, რომ „საპროექტო დერეფანში არ გამოვლინდა არცერთი საშუალო და მაღალენსიტიური ადგილი“, თუმცა, იმავე ქვეთავში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება არაერთი იშვიათი გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი და მოწყვლადი სახეობა და იქვე მონატილია ამ სახეობების ნაწილის ჩამონათვალი. ეს, თავისთავად, გამორიცხავს თავდაპირველად მოყვანილი განცხადების მართებულობას.

გზმ ავტორების მტკიცება, თითქოს ჩატარებულია ბოტანიკური კვლევა, არ შეიძლება შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ჯერ ერთი იმ პერიოდში, როდესაც დაქირავებული იყო „თბილწყალგეო“ (ოქტომბრის მეორე ნახევარი) ამ ტერიტორიაზე მცენარეთა სავეგეტაციო პერიოდი გასულია და შეუძლებელია ფლორის სახეობრივი შემადგენლობის დადგენა. ამასთანავე, შეუძლებელია, რომ კვლევის დამწერი ამ ტერიტორიაზე ფიზიკურად ყოფილიყო და ვერ შეემჩნია სოჭის კორომი, რომელიც კვლევაში არ არის მოხსენიებული, ან არ შეემჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე პროდუქტიული ტყე იზრდება და არა „მეჩხერი“.

ლიტერატურული მონაცემებისა და ჩვენი გამოცდილების მიხედვით, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ბინადრობს არაერთი იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, რომლებსაც იცავს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობა; ამას ადასტურებს განსახილველი დოკუმენტიც. თუმცა, ანგარიშის მთავარ ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საერთოდ არ არის შესწავლილი ჰესის ფუნქციონირების შედეგად ამ სახეობებზე ზეგავლენა. გზმ ანგარიშის ავტორებს მიაჩნიათ, რომ პროექტი ხორციელდება „ურბანულ ტერიტორიაზე“, რის გამოც მას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ექნება ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე: ფლორაზე, ფაუნაზე, ლანდშაფტზე. როგორც ჩანს, ისინი განიხილავენ მხოლოდ ჰესის ძალოვანი კვანძის ადგილს და ამავდროულად, საერთოდ არ განიხილავენ მდინარის მნიშვნელოვანი ნაწილის (მთელი მდინარის ჰაბიტატის დაახლოებით 10%-ის) პრაქტიკულად უწყლოდ დატოვებით (ბუნებრივ კალაპოტში საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10% რჩება) გამოწვეულ ზეგავლენას.

ფაუნასთან დაკავშირებით გზმ ანგარიშში ნახსენებია, რომ აქ ბინადრობს არაერთი ისეთი სახეობა, რომელიც ეკოლოგიურად დაკავშირებულია და უშუალოდ დამოკიდებულია წყლის/მდინარის ეკოსისტემაზე, მათ შორის ენდემები და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები: (ჩვეულებრივი ტრიტონი - *Triturus vulgaris*, ჩვეულებრივი ვასაკა *Hyla arborea*, კავკასიური ჯვრიანა - *Pelodytes caucasicus*, კავკასიური გომბემო - *Bufo verrucosissimus*). ამასთანავე, ანგარიშში არ არის განხილული, თუ რა გავლენას მოახდენს მათზე მდინარის კალაპოტში ბუნებრივი ნაკადის მხოლოდ 10%-ის დატოვება და დაშვებულია, თუ არა ასეთი ზეგავლენა საქართველოს

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმინდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013

კანონმდებლობით. ამ სახეობებთან დაკავშირებით არ არის შემოთავაზებული არც მონიტორინგისა და შემარბილებელი ღონისძიებები.

ანგარიშში, აღნიშნულია, რომ მდინარეში ბინადრობს „წითელი ნუსხის“ სახეობა მდინარის/ტბის კალმახი (*Salmo fario*), ასევე, სხვა რამდენიმე თევზის სახეობა, თუმცა, პრაქტიკულად არაფერია ნათქვამი მათზე პროექტის ზეგავლენის შესახებ. ბიომრავალფეროვნებისთვის, განსაკუთრებით თევზებისთვის, მთავარ პრობლემას ქმნის პროექტის შედეგად მდინარის ბუნებრივ კალაპოტში საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ის დატოვება და დანარჩენი წყლის ჰესის ტურბინებისკენ მიმართვა სადაწნეო მილით.

გზმ ანგარიშის თანახმად, „წყალმიმღები გალერეის სიგრძე 12 მ-მდეა. წყალსაგდები კაშხლის სიგრძე შეადგენს ასევე 12 მ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო კაშხლის სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 0,8 მ-ია, ასეთი სიმაღლის კაშხალზე ასვლა, მდინარე ბროლისწყალზე გავრცელებული სახეობის თევზებისათვის, შესაბამის ლიტერატურაში მითითებული ნორმების მიხედვით, პრობლემას არ წარმოადგენს, სათავე ჰიდროკვანძის შემადგენლობაში სპეციალური თევზსატარი არ არის გათვალისწინებული“. ყურადსაღებია, რომ არც ანგარიშის ტექსტურ ნაწილში და არც გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში არ არის მოყვანილი არცერთი წყარო, რომელიც დაადასტურებდა ამ მოსაზრების სისწორეს.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ანგარიშის 68-ე გვერდზე (რეკომენდაციები) აღნიშნულია, რომ იქთიოფაუნაზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად „ჰიდროტექნიკური ნაგებობა უნდა დაპროექტდეს თევზგამავალი სისტემის გათვალისწინებით“. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ პროექტის წარმომდგენი არ ითვალისწინების საკუთარი თავისთვის მიცემულ რეკომენდაციებსაც კი.

სავსებით სწორია გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნა ამ საკითხზე: „გაურკვეველია თუ რომელი ნორმების საფუძველზეა დადგენილი, რომ ასეთი სიმაღლის კაშხალზე ასვლა შესაძლებელია მდ. ბროლისწყალზე გავრცელებული სახეობებისათვის. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების თანახმად „ჰიდროტექნიკური ნაგებობა უნდა დაპროექტდეს თევზგამავალი სისტემის გათვალისწინებით“. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით მდინარის სანიტარულ ხარჯად აღებულია საშუალო წლიური ხარჯის 10%, თუმცა ამ კონკრეტული მდინარისათვის საშუალო წლიური ხარჯის 10% წარმოადგენს ძალიან მცირე სიდიდეს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს იხტიოლოგიური დასაბუთების და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა, რომ აღნიშნული სიდიდის სანიტარული ხარჯი საკმარისი იქნება მდინარეში წარმოდგენილი იქთიოფაუნისათვის. აგრეთვე ანგარიშში ნათლად და გასაგებად იქნას აღწერილი კაშხალთან დაკავშირებული საკითხები, თევზდაცვის კუთხით.“

შპს „ყაზბეგი ჰესი“ პრაქტიკულად ვერ სცემს ამ საკითხს პასუხს, რაც უცილობელ პირობას წარმოადგენს უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნისათვის. პასუხში აღნიშნულია: „კაშხალზე გადაადინებული წყლის სიჩქარე მცირეა, რომელიც წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელს თევზების მიგრაციის შესაძლებლობის განსაზღვრაში. მდ. ბროლისწყალში არსებული თევზის ჯიშებისათვის კალმახი, თერგის ორაგული, კობრი და სხვა აღნიშნული სიჩქარეები არ წარმოადგენს მიგრაციის შეფერხების საფუძველს, მითუმეტეს კაშხლიდან 300მ-ში მდინარეში არსებობს ჩანჩქერი, რომლის სიჩქარეები გაცილებით მაღალია კაშხალზე არსებულ სიჩქარეებზე და აღნიშნული არ წარმოადგენს მიგრაციის შემაფერხებელ ფაქტორს“.

ამ პასუხიდან ნათელია, რომ შპს „ყაზბეგი ჰესი“ არ ან ვერ ხედავს რეალურ პრობლემას, რომ თევზის სახეობებისთვის გადაადგილების მალიმიტირებელი ფაქტორია არა წყლის დინების სიჩქარე, არამედ ბუნებრივ კალაპოტში დარჩენილი წყლის დინების სიმცირე. ჩანჩქერზე და სხვა წინაღობებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ადიან თევზები, თუ მოდის წყალუხვი მდინარე და არა მისი მეთაედი ნაკადული. აქედან გამომდინარე, „ყაზბეგი ჰესის“ პროექტის განხორციელება გამოიწვევს მდინარის ჰაბიტატის დეგრადაციას და ფრაგმენტაციას. ნებისმიერ შემთხვევაში, თევზის სახეობებზე პროექტის ზეგავლენის შესარბილებად თევზსავალის მოწყობა ვერ გააუმჯობესებს თევზების ჰაბიტატს, ვინაიდან თევზსავალი გაკეთდებოდა მხოლოდ კაშხალთან. წყლის 10%-ის ბუნებრივ კალაპოტში დარჩენის შემთხვევაში კი, თევზებისთვის გადაულახავ წინაღობებად დარჩებიან კაშხალსა და ჰესის სამანქანო ნაწილს შორის მონაკვეთზე არსებული ჩანჩქერებიც. ამდენად, ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ თევზების ანგარიშში ხსენებული პოპულაციები პროექტის განხორციელების დაწყებიდან მოკლე ხანში გაქრება.

გზმ ანგარიშში არ არის აღნიშნული, რომ საპროექტო არეალში ბინადრობს ევრაზიული წავი *Lutra lutra*, რომელიც შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“, ასევე ბერნისა და ბონის კონვენციების დანართებში. შესაძლოა ამ საკითხის გამოტოვება განპირობებული იყოს იმით, რომ სწორედ ამ სახეობაზე ახდენს პროექტი

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013

ყველაზე მეტ ზეგავლენას (წავი ბინადრობს მდინარის სუფთა წყალში და თევზით იკვებება). შესაბამისად, არ არის მოცემული არც ამ სახეობაზე ზეგავლენის შერბილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ეს არის გზმ კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, ვინაიდან მთელს მსოფლიოში წავს იყენებენ, როგორც ინდიკატორ სახეობას წყლის ეკოსისტემების მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში.

ანგარიშში არაფერია ნათქვამი, არც იმ ზეგავლენის შესახებ, რომელსაც მოახდენს ჰესის მშენებლობა და ოპერირება „წითელ ნუსხის“ იმ ძუძუმწოვრების სახეობებზეც, რომლებიც მოხსენიებული არიან გზმ ანგარიშში: აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, არჩვი, მურა დათვი, ფოცხვერი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ზეგავლენა ჩლიქოსნებზე (ჯიხვზე და არჩვზე), რომელთათვისაც ხდის ხეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ჰაბიტატს და თავშესაფარს მოიცავს გამრავლების არეალს, გადარჩენის სტაციებს, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებსა და წყლის სასმელი ადგილებს. ზეგავლენა დაკავშირებული იქნება საბინადრო პირობების გაუარესებასთან, შეწუხების ფაქტორის (აფეთქებები, მძიმე ტექნიკა, საავტომობილო გზის გაყვანა ხელუხლებელ ეკოსისტემაში, ბრაკონიერობის პრესის გაზრდა და სხვ.). გარემოს დაცვის სამინისტრო ამ საკითხზეც სვამს აქტუალურ კითხვას, მაგრამ შპს „ყაზბეგი ჰესისგან“ იღებს არაადეკვატურ პასუხს.

გზმ-ში არაფერია ნათქვამი ლანდშაფტზე ზეგავლენის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. ხდის ხეობა დღემდე ხელუხლებლებელ ლანდშაფტს წარმოადგენდა. ჰესის აშენების შემთხვევაში, წყლის გარემო დარჩება მეტად მიმზიდველი ჩანჩქერები ხდის ხეობის დასაწყისში. ეს გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - ლანდშაფტის - შეუქცევად დეგრადაცია-განადგურებას.

სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ პროექტი არ იქონიებს ზეგავლენას ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებაზე. საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებას და ამის შესახებ ხელმოწერილია კიდევაც შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება შეფერხებულია სწორედ ყაზბეგის რაიონში ჰესების მშენებლობის გამო. გერმანული მხარე სერიოზულ შემოთვას გამოხატავს ხდის ხეობაში ჰესის პროექტის შესაძლო განხორციელების გამო. მიუხედავად იმისა, იჭრება, თუ არა „ყაზბეგი ჰესის“ საპროექტო არეალი ყაზბეგის ეროვნული პარკის საზღვრებში, ის მაინც იქონიებს სერიოზულ ზეგავლენას ამ დაცულ ტერიტორიაზე. საპროექტო არეალთან უშუალო სიახლოვეს მდებარეობს ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონა. აქედან იწყება ვიზიტორებისთვის მეტად მიმზიდველი ტურისტული მარშრუტი ხდის ხეობისკენ.

ხდის ხეობას თავისი უნიკალური ბუნებრივი სილამაზის გამო, ტრადიციულად, ბევრი ტურისტი სტუმრობს. ჰესის აშენების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს მიმზიდველობას, რაც შესაბამისად, ცუდად აისახება ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე, დაცული ტერიტორიებისა და ტურისტული კომპანიების შემოსავლებზე. ხდის ხეობა წარმოადგენს ასევე ალპინიზმისთვის ძალზე პოპულარულ და მნიშვნელოვან ადგილს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხდის ხეობა შეტანილი იყო საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“, როგორც ბუნების ძეგლი. „წითელ წიგნში“ აღნიშნულია, რომ ხდის მყუდრო ხეობა წარმოადგენს მრავალი იშვიათი სახეობის თავშესაფარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში შეტანილი იყო კანონპროექტი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, სადაც ერთ-ერთ ბუნების ძეგლად განსაზღვრული იყო ხდის ხეობა (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის - IUCN მესამე კატეგორია). სამწუხაროდ, ენერგეტიკის სამინისტრომ დაბლოკა ეს კანონპროექტი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2010 წლის დასასრულს ხდისწყალი ჰესი ამოღებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის N46 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხიდან“ იმის გამო, რომ ჰესი მთლიანად ხვდებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკისა და გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე.

ამრიგად, წარმოდგენილი პროექტი ზეგავლენას იქონიებს როგორც არსებულ დაცულ ტერიტორიაზე, ისე მისი გაფართოების პერსპექტივაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს გერმანიის მთავრობის პროგრამის დაფინანსებას.

ყოველივე ზემოხსენებული ცხადად მიუთითებს, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შედეგად გარდაუვალია „საქართველოს „წითელი წიგნისა“ და „წითელი ნუსხის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონების, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბერნის კონვენციის დებულებების დარღვევა. უფრო

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013



კონკრეტულად, დაირღვევა: კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 46. „ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს“; კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, მუხლი 10. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“. მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“ „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა...“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 13 მარტის №68 ბრძანების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გარემოს დაცვის სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

### კლიმატის ცვლილების ზეგავლენა

გზმ ანგარიშის მე-3 თავში (გვ. 9), ასევე, მე-4 თავში (გვ. 25) აღნიშნულია, რომ მდინარე, ძირითადად, საზრდოობს მყინვარებიდან, რომელთა შორის შედარებით დიდია კიბიში - დაახლოებით 5 კვ. კმ („მდინარე ბროლისწყალი სათავეს იღებს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე მთა ქორას ჩრდილოეთ ფერდობზე არსებული მყინვარ კიბიშის ენიდან 3200 მეტრზე“). მიუხედავად აღნიშნულისა, ანგარიშში საერთოდ არ არის განხილული (არ არის შესწავლილი) კლიმატის ცვლილების ზეგავლენა მდინარის წყალშემკრებსა და ჩამონადენზე, ასევე, ჰესის ექსპლუატაციის პირობებსა და პირობების შესაძლო ცვლილებით გამოწვეულ შედეგებზე.

მყინვარების მდგომარეობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შესახებ შესრულებულია მნიშვნელოვანი გამოკვლევები საქართველოში მოქმედი სამეცნიერო აკადემური დაწესებულებების მიერ, რომელთა მიხედვითაც, მყინვარების კლების ტენდენცია ძლიერ საგანგაშოა. როგორც ჩანს, გზმ ანგარიშის შედგენისას ეს კვლევები და მათი შედეგები არ ყოფილა განხილული და შესაბამისად, ასახული ანგარიშში. კლიმატის ცვლილებების ზეგავლენის საკითხის შეუსწავლელობა ასევე უნდა ჩაითვალოს ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად.

### გრუნტის წყლებზე ზეგავლენა

გზმ ანგარიშის 4.8.3-2 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საპროექტო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს გრუნტის წყლების განტვირთვის არეს“ (გვ.48). გზმ ანგარიშში არ არის შეფასებული რა ზეგავლენას იქონიებს პროექტი გრუნტის წყლებზე, განსაკუთრებით, რა ზეგავლენას იქონიებს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები (გვ.51) გრუნტის წყლებზე. პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე გრუნტის წყლების დებიტსა და ხარისხზე ზეგავლენის შეუსწავლელობას ჩვენ განვიხილავთ გზმ ანგარიშის ძალზე მნიშვნელოვან ნაკლოვანებად.

### ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები და მათი ზეგავლენა

გზმ ანგარიშის 4.8.3-3 ქვეთავში (ნაგებობების ფარგლებში და ტერასაზე გავრცელებული გრუნტების აღწერა) აღნიშნულია, რომ „ხშირ შემთხვევაში ლითოლოგიურ ჭრილში გრანიტული ლოდნარის დიამეტრი 2-3 და ზოგჯერ 5 მ-საც აღწევს, რომელთა დამუშავება მხოლოდ ბურღვა-აფეთქებითაა შესაძლებელი. 500 მ-ზე მეტი ზომის ფრაქციის შემადგენლობა 35%-ია“. გარდა ამისა, ანგარიშის 5.4 ქვეთავში (დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევები ატმოსფეროში მშენებლობის პერიოდში), გაფრქვევების სამ ძირითად წყაროს შორის მოხსენიებულია გაფრქვევები სამშენებლო უბნებიდან, მათ შორის, აფეთქებითი სამუშაოებით გამოწვეული გაფრქვევები (გვ. 86) - მართალია, აქ მხოლოდ ამგვარი გაფრქვევების დაანგარიშების მეთოდია აღწერილი, მაგრამ თავად საკითხი ნახსენებია.

ამგვარად, ზემოაღნიშნული ჩანაწერებიდან ნათელი ხდება, რომ პროექტი მოიცავს ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს. თუმცა, არაფერია აღნიშნული ამ სამუშაოებით გარემოსთვის მიყენებული შესაძლო ზეგავლენის თაობაზე (მაგალითად, ჰაერში გაფრქვევები, წყალზე/გრუნტის წყლებზე ზეგავლენა, ხმაური და ვიბრაცია,

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013

ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენა, ჯიხვების, არჩვებისა და სხვა ძუძუმწოვრების შეწუხება და იძულებით განდევნა ჰაბიტატიდან და სხვ.), ისევე როგორც ზეგავლენის შემარბილებელ ღონისძიებებზე.

### პროექტის ნარჩენები

პროექტის ნარჩენების მართვას ეძღვნება მე-7 თავი სამი პატარა ქვეთავით, რომელთაგან პირველ ორში, პრაქტიკულად, უსარგებლო ინფორმაციაა; მესამე ქვეთავი კი, სულ რამოდენიმე აბზაცით შემოიფარგლება. ამ ქვეთავში არაა დაზუსტებული ვინ, სად და როგორ მოახდენს: სახიფათო ნარჩენების თერმულ დამუშავებას (მითითებულია „თერმული დამუშავება შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციის მიერ“; და მოხმარებული ზეთის რეგენერაციას (მითითებულია „ხდება თბილისში“).

### კუმულაციური ზემოქმედება

გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის შეფასებული პროექტის შესაძლო კუმულაციური ზეგავლენის საკითხები სხვა არსებულ (ყაზბეგის ჰესი), მიმდინარე (დარიალის ჰესი და ლარსი ჰესი) და დაგეგმილ (თრუსო, კობი, თერგი, სნოსწყალი, ჯუთა, ჩხერი და ამალი ჰესები) პროექტებთან კავშირში. აღსანიშნავია, რომ „დარიალის ჰესის“ და „ლარსი ჰესის“ პროექტების შედეგად ზეგავლენას განიცდიან იგივე სახეობები და ჰაბიტატები, რაც „ყაზბეგი ჰესის“ შემთხვევაში. კუმულაციური ზემოქმედების საკითხების, განსაკუთრებით, ბიომრავალფეროვნებაზე კუმულაციური ზეგავლენის შეუსწავლევლობა, უნდა ჩაითვალოს გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად.

### გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ საფრთხეებზე რეაგირება

გზმ ანგარიშის თანახმად: მდინარის ხეობაში ხშირია კლდე-ზვავები; მდინარე ხასიათდება წყალდიდობებითა და წყალმოვარდნებით; სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია შედის 9-ბალიანი მაკროსეისმური ინტენსივობის ზონაში; სადაწნეო მილსადენის ტრასის გასწვრივ მოსალოდნელია ჩამონგრევა-ჩამოქცევითი პროცესები, ხაზური ეროზიის განვითარება, სტრუქტურული ღვარცოფები ტრასის გადამკვეთი პერიოდულად მოქმედი ხეობებით; მდინარის კალაპოტთან ახლოს გამავალ ტერასაზე მოსალოდნელია წყლის ნაკადის ზემოქმედებით გამოწვეული ჩამონგრევები; სათავე ნაგებობის სიახლოვეს აღინიშნება ზვავსაშიში ფერდობები.

მაშინ, როდესაც საპროექტო ტერიტორია ასეთ რთულ გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებში ხორციელდება - არაფერია აღნიშნული გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ საფრთხეებზე რეაგირების შესახებ, მაშინ, როდესაც, მაგალითად, მთელი თავი ეძღვნება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს (გვ. 100).

### გარემოზე ზეგავლენის სახეები და შემარბილებელი ღონისძიებები

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის გარემოზე ზეგავლენა ფაქტიურად არაა შესწავლილი: არ არის სრულფასოვნად გამოკვლეული ზეგავლენის წყაროები და რეცეპტორები, არ არის დადგენილი პროექტის შესაძლო ზემოქმედების შედეგად გარემოში მოსალოდნელი ცვლილების სახე, ხასიათი, სიდიდე, ალბათობა, ზემოქმედების არეალი, ხანგრძლივობა და შექცევადობა. შესაბამისად, არასრულფასოვანია შემარბილებელი ღონისძიებებიც.

პროექტის გარემოზე ზეგავლენის სახეების და შემარბილებელი ღონისძიებების აღწერას ეძღვნება მე-9 (ყაზბეგი ჰესის მშენებლობითა და ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. შემარბილებელი ღონისძიებები) და მე-10 (მონიტორინგი) თავები - სულ დაახლოებით 10 გვერდი. ზეგავლენის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები და შემარბილებელი ღონისძიებები გაზნეულია, ასევე, ანგარიშის სხვა თავებში.

მე-9 თავში აღნიშნულია: „ზემოქმედება ნიადაგის საფარსა და ლანდშაფტზე - სამშენებლო ობიექტები განლაგებულია მდ. ბროლისწყალის ჭალაში, სადაც მცირედაა განვითარებული მცენარეულობა. მშენებლობის წარმოებით გათვალისწინებულია სადაწნეო მილსადენის ჩაწყობის დამთავრების შემდეგ არსებული ნიადაგის საფარის და ლანდშაფტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა“.

ეს მტკიცება არ შეეფერება სინამდვილეს (თითქოს მცირედაა განვითარებული მცენარეულობა, იხ. ჩვენი კომენტარი ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით) და ასევე ეწინააღმდეგება გზმ ანგარიშსაც, რომელშიც

*მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზმ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013*

რამდენჯერმე აღნიშნული (გვ. 57; 62), რომ „პრაქტიკულად შეუძლებელია ადრინდელი ბუნებრივი კორუმების აღდგენა და შენარჩუნება იმ სახით, როგორც იყო მშენებლობამდე“. იმავე გზშ ანგარიშში აღნიშნულია (გვ.54) „პროექტის ზემოქმედების ზონაში წარმოდგენილია სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებები და სახეობები (წითელი ნუსხის, წითელი წიგნის, ენდემური, იშვიათი), აგრეთვე ეკონომიკური მცენარეები (სამკურნალო, არომატული, ველური ხილი, ბოჭკოვანი, ძირხვენიები, დეკორატიული, სამასალე და სათბობი ხე-ტყე, საფურაჟე, სათიბ-სამოვარი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ველური წინაპრები და ა.შ.)“.

ასევე არ შესაბამება სინამდვილეს მე-9 თავში მოცემული მტკიცება იმის შესახებ, რომ „ექსპლუატაციის პერიოდში ცხადია ნიადაგზე და ლანდშაფტზე არავითარი ზემოქმედება არ ხდება“. როგორც აღვნიშნეთ, ობიექტის ექსპლუატაციის დროს მხოლოდ 0,21მ<sup>3</sup>/წმ წყლის ნაკადის დატოვება ბუნებრივ კალაპოტში მთლიანად შეცვლის ლანდშაფტს, რომლის ძირითადი და თვალსაჩინო შემადგენელი არის წყალვარდნილები და ჩანჩქერები. წყლის ნაკლებობის გამო, დროთა განმავლობაში მოხდება ჭალის მცენარეულობის ცლილებაც, რაც გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას: სახეობათა გაქრობა-შემცირებას და ლანდშაფტის დეგრადაციას. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ვინაიდან საქმიანობა არ უნდა იქვედეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას.

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2012 წლის 13 მარტის №68 ბრძანების „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ მე-12 მუხლის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაცემა იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის დამსახურებული დოკუმენტაციაში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს.

გზშ ანგარიშში არასრულყოფილადაა იდენტიფიცირებული ფლორის ის სახეობები, რომლებზეც მოახდენს ზეგავლენას ჰესის მშენებლობა და ოპერირება, რასაც არც გზშ-ს ავტორები უარყოფენ. კერძოდ, გ. 61-ზე აღნიშნულია „საპროექტო ტერიტორიაზე გვხვდება ზოგიერთი იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი და მოწყვლადი სახეობა. მაგალითად: *Hippophaë rhamnoides*, *Valeriana tiliifolia*, *Fraxinus excelsior* (სახეობები, რომელთა რიცხვიც მცირდება), *Tilia caucasica*, *Lonicera caucasica* (იშვიათი მცენარეები). მშენებლობის წინა ბოტანიკური კვლევების ჩატარების შედეგად მცენარეთა იშვიათი სახეობების არსებული სია სავარაუდოდ შესაძლებელია გაიზარდოს“. შესამაბისად შემარბილებელი და მონიტორინგის ღონისძიებებიც არასრულყოფილადაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გზშ ანგარიშში არასრულყოფილადაა იდენტიფიცირებული ფაუნის სახეობებიც. საერთოდ არაა ნათქვამი არაფერი ევრაზიულ წავზე, რომელიც ყველაზე მოხერხებული სახეობაა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის. გზშ არ შეიცავს სხვა წითელი ნუსხის ცხოველებთან დაკავშირებულ შემარბილებელ ქმედებებსაც.

თევზებთან დაკავშირებულ შემარბილებელი საკითხები მეტად წინააღმდეგობრივია. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ რეკომენდაციებში უწერიათ თევზგამტარის საჭიროება, პროექტით მაინც არ იგეგმება მისი გაკეთება. ასევე არ არის აღნიშნული თევზგამტარი შემარბილებელი ღონისძიებებისა თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თევზგამტარი, რომელიც თეორიულადაც არ არის ეფექტური შემარბილებელი ღონისძიება, მოცემულ ხეობაში სრულიად გამოუსადეგარია, ვინაიდან მდინარის კალაპოტში წყლის სიმცირის გამო კაშხალსა და ძალურ კვანძს შორის მდებარე ჩანჩქერები გადაულახავ წინააღმდეგობას იქცევა იქთიოფაუნის წარმოდგენლებისათვის.

ანგარიშში ზოგადი საუბარია ფლორაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებებზე: „ჰაბიტატ-ჰექტარის“ შეფასების მეთოდის გამოყენება, ჰაბიტატის აღდგენა, დარგვა, საკონსერვაციო ცენტრებში გადატანა და ა.შ. საუბარია იმაზე, რომ ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება უნდა შეემცირდეს, თუმცა, არ არის განხილული, როგორ და რა გზებით უნდა განხორციელდეს ეს ქმედებები. ჩვენი აზრით, ეს საკითხები ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ იმისათვის, რომ შეიქმნას გარკვეული ილუზია იმისა, თითქოს კომპანიამ

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ვაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013

შეისწავლა პროექტის ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიომრავალფეროვნებას საფრთხე არ ემუქრება. მაგალითად, არ არის ნაჩვენები, თუ რომელ საკონსერვაციო ცენტრებში იგეგმება მცენარეების გადატანა და რომელი სახეობების; ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკითხი ფორმალურადაა მოხსენიებული გზმ ანგარიშში.

„წმინდა მოგებისა“ და „ჰაბიტატ-ჰექტარის“ შეფასების მეთოდების შესახებ მსჯელობა ძალზე არალოგიკურადაა ჩასმული გზმ ანგარიშში. გაუგებარია, იღებს თუ არა პროექტის განმახორციელებელი კომპანია ვალდებულებას, რომ გამოიყენებს ამ მეთოდებს და თუ იღებს, რომელ სახეობებთან და ჰაბიტატებთან მიმართებაში. გზმ ანგარიშის ეს ნაწილი პირდაპირაა გადმოტანილი „შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის პროექტის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე გამავალი კორექტირებული მონაკვეთის ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშიდან, რომელიც 2011 წელს „ენერგოტრანსისთვის“ მოამზადა ექსპერტმა მარიამ ქიმერიძემ. იგივე ნაწილი გვხვდება „თბილწყალგეოს“ მიერ მომზადებულ „ლარსი ჰესის“ გზმ-ში.

განსახილველი დოკუმენტი უფრო დაუსრულებელი კვლევის, შუალედური ანგარიში შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მშენებლობის ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილი გზმ ანგარიშისას.

მაგალითად, გვ. 54-55-ზე აღნიშნულია, რომ მცენარეთა თანასაზოგადოებებზე „ნარჩენი ზემოქმედების დაფიქსირების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ეკო-საკომპენსაციო ღონისძიებები, რაც გულისხმობს ექვივალენტური ტყის ჰაბიტატების აღდგენას“.

57-ე გვერდზე, სადაც საუბარია ეკო-საკომპენსაციო ღონისძიებების დროს ჰაბიტატ-ჰექტრის მიდგომის გამოყენების აუცილებლობაზე, აღნიშნულია შემდეგი: „რადგანაც საქართველოში სისტემატურად არ იყენებენ ჰაბიტატ-ჰექტრულ მიდგომას, საჭიროა განისაზღვროს მე<sup>6</sup> და ბენჩმარკები რეპრეზენტატიული სანიმუშო ფართობების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (ბსგზმ)“. ანუ, ამ აზრადიან ჩანს, რომ რეალური გზმ ოდესმე მომალში უნდა გაკეთდეს. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ადგილი იქნება საქართველოს კანონმდებლობის უხემ დარღვევას.

გზმ-ს 70-ე გვერდზე, ასევე ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნების კომენტარებზე პასუხისას (გვ.125) აღნიშნულია, რომ მონიტორინგის გეგმა შედგება შემდგომში, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინვესტორი ვერ ცემს პასუხს გარემოს დაცვის სამინისტროს მოტხოვნას ჯიხვების მონიტორინგის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

გზმ-ს 109-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის (გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად) მონიტორინგი დროს ექსპლუატაციის პერიოდში ჩატარდება თვეში ერთხელ, შესრულებული გაზომვების მნიშვნელობებმა არ უნდა გადააჭარბოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში შესაბამის ცხრილებში მოყვანილ მნიშვნელობებს. გაუგებარია, რა გაიზომება ამ შემთხვევაში, ვინაიდან არ გააჩნიათ ბიომრავალფეროვნების შესახებ არც რაოდენობრივი არც თვისებრივი ფონური მასალა.

მე-10 თავში წარმოდგენილ „გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში“ საერთოდ არაფერია აღნიშნული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე, რაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს. ეს გარემოება, ისევე როგორც ზემოთ აღწერილი სხვა უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანებები, უნდა გახდეს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის საფუძველი.

<sup>6</sup> მეკ -მცენარეულობის ეკოლოგიური კლასები



## პროექტთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილი გზშ კვლევა ანგარიში მოამზადა სსიპ „თბილწყალგეომ“. სსიპ „თბილწყალგეომ“ შედის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში. მის მიერაა მომზადებული „ყაზბეგი ჰესის“ პროექტის განხორციელებით დაინტერესებული შპს „ფერისთვის“ „ლარსი ჰესის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც მშენებლობის ნებართვა გასცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ. ამდენად, საჭიროა სათანადო ორგანოებმა (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია) შეისწავლონ შესაძლო ინტერესთა შეუთავსებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი „ყაზბეგი ჰესის“ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეს საკითხი მაინც აქტუალურია: როგორც წარმოდგენილი გზშ-ს შინაარსიდან ჩანს, მისი მნიშვნელოვანი წილი გადმოწერილია „ლარსი ჰესის“ გზშ ანგარიშიდან; ასევე, „ყაზბეგი ჰესი“, მშენებლობის ნებართვის მიღების შემთხვევაში, აპირებს ისარგებლოს „ლარსი ჰესისთვის“ აშენებული ბეტონის ქარხნით, საქმიანი ეზოთი და მუშათა ბანაკით.

## დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები

პროექტის განხორციელებით დაინტერესებული პირები, დადებითი განწყობის მოსაპოვებლად აღნიშნავენ, რომ მისი განხორციელების შედეგად შეიქმნება სამუშაო ადგილები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება, ასევე მნიშვნელოვანია ის ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია ურთიერთგამომრიცხავი მონაცემები დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ. ზოგან აღნიშნულია, რომ მშენებლობაზე დასაქმებული იქნება 60 მუშა-მოსამსახურე, რომელთაგან 50%, ანუ 30 მუშა-მოსამსახურე, იქნება ადგილობრივი (გვ.100, ქვეთავი „საყოფაცხოვრებო ნარცენები“; გვ.124. „პასუხები გარემოს დაცვის სამინისტროს შენიშვნებზე“).

2012 წლის 24 დეკემბერს სტეფანწმინდაში გამართული საჯარო განხილვის ოქმში (რომელიც თან ერთვის განსახილველ გზშ ანგარიშს) აღნიშნულია, რომ მშენებლობის პროცესში შეიქმნება 25-30 ადგილი ადგილობრივებისთვის და ხოლო ოპერირების პერიოდში ჰესზე დასაქმდება 15-18 ადგილობრივი.

თუმცა, სამუშაო ადგილების რეალური რაოდენობა მოცემულია თავში „ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები“ (გვ. 21), სადაც აღნიშნულია, რომ „მომუშავეთა მაქსიმალური რაოდენობა არის 27 კაცი დღეში“. ეს ნიშნავს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სხვა ნაწილებში აღნიშნული რაოდენობა (60 ადამიანი, მათ შორის 30 ადგილობრივი) არ შეეფერება სინამდვილეს. ფორმალურად, შესაძლებელია ერთ სამუშაო ადგილზე ერთ დღეს ერთი ადამიანი დასაქმდეს, მეორე დღეს - მეორე და ეს ორ სამუშაო ადგილად ჩაითვალოს. ამგვარ ორ- ან სამმაგ დათვლას ხელს უწყობს შემდეგი გარემოება: შპს „ფერი“ გზშ ანგარიშით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს ახორციელებს „ლარსი ჰესის“ და „დარიალი ჰესის“ მშენებლობასაც. გზშ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ყაზბეგი ჰესის“ მშენებლობისას ნავარაუდევია იმავე ბეტონის ქარხნის, საქმიანი ეზოს და მუშათა ბანაკის გამოყენება<sup>7</sup>.

ასევე არარეალურია, რომ 6 მეგავატიანი ჰესის ოპერირებისას დასაქმებული იქნება 15 ადამიანი (თანაც აქედან 15-18 ადგილობრივი, როგორც ეს აღნიშნულია ოქმში, ბატონი ლაშა იორდანიშვილის სიტყვები). დღეს არსებულ „ყაზბეგი ჰესში“, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან ფუნქციონირებს, მხოლოდ ერთი ადამიანია დასაქმებული.

## მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება

გზშ ანგარიშის 106-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის პერიოდში ყაზბეგი ჰესის კომპლექსის მწყობრში შეყვანა დადებითად იმოქმედებს საქართველოს მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაზე. აღნიშნული მტკიცების ობიექტურობა მეტად საეჭვოა. ჯერ ერთი, ჰესის დადგმული სიმძლავრე სულ 6 მეგავატია. იმ პირობებში, რომ ხდისწყალის ჰიდროლოგიური მონაცემები ჰიპოთეტურადაა ნავარაუდევია, წარმოდგენილი პროექტი არ იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს, რამდენად შესაძლებელია დადგმული სიმძლავრის აღება. გარდა ამისა, შპს „ყაზბეგის ჰესი“, საქართველოს მთავრობასა და სს „ესკოს“ შორის

<sup>7</sup> შესაბამისი გზშ ანგარიშების მიხედვით „ლარსი ჰესის“, მშენებლობის დროს დასაქმებული უნდა იყოს 100, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში - 35 ადამიანი; „დარიალი ჰესის“ მშენებლობის დროს დასაქმებული უნდა იყოს 150, ექსპლუატაციის პერიოდში კი - 50 ადამიანი. დღეის მდგომარეობით, მშენებლობის დაწყებიდან 1 წელზე მეტის გასვლის შემდეგ, ნამდვილად არ არის დასაქმებული ამ რაოდენობის ნახევარიც კი.

დადებული მემორანდუმის თანახმად (პუნქტი 3.3) „ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის სამი თვის (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი) ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია მოხდება საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ამ თვეებში ბუნებრივი წყალმცირობის გამო, ჰესის მიერ ასაღები წყლის რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ქვეყნისათვის რაიმე ენერგეტიკულ მოგებაზე საუბარი ძალზე გადაჭარბებულია. ამასთანავე, მემორანდუმის თანახმად, ელექტროენერჯის შესყიდვა საკმაოდ ძვირად ხდება - აპრილიდან სექტემბრამდე - 5 აშშ ცენტად, ხოლო ოქტომბრიდან მარტამდე - 6,5 აშშ ცენტად. ამასთანავე, მოსახლეობის ნაწილი შეცდომით ფიქრობს, რომ ჰესის მიერ გამომუშავებული ენერჯია რაიონის მოსახლეობას მოხმარდება (უფასოდ ან შედარებით ფასად), რაც გარკვეულწილად დადებითად განაწყოებს პროექტის მიმართ. ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივ გამგეობას უფრო მეტი ძალისხმევა მართებს, რათა სიტუაციაში უკეთ გარკვიოს ადგილობრივი მოსახლეობა.

ამრიგად, ქვეყნისათვის აღნიშნული ჰესიდან მოსალოდნელი სარგებელი (სამუშაო ადგილები, ელექტროენერჯია) მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ ზიანს, რომელიც მიადგება ეკოსისტემების სერვისებს. ყაზბეგის რაიონში დაცული ტერიტორიების განვითარება, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის მენეჯმენტის ქვეშ არსებული დაცული ლანდშაფტების ( IUCN-ის V კატეგორია) უფრო მეტ და სტაბილურ სამუშაო ადგილს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის (დაცული ტერიტორიების თანამშრომლები, ეკოტურიზმის სფეროში დასაქმება და ა.შ.). ამის მაგალითად შეიძლება განხილულ იქნეს თუშეთი, ვინაიდან საქართველოს ეს კუთხე დაცლისგან იხსნა სწორედ დაცული ტერიტორიების (ეროვნული პარკი, დაცული ლანდშაფტი) განვითარებამ. მათ საფუძველზე დაახლოებით 50 საოჯახო სასტუმრო შეიქმნა და ეს რიცხვი ყოველ წელს იზრდება, სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსდა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე მიმართული პროექტები (ჰელიო-სისტემების განვითარება, საოჯახო სასტუმროები, ტრადიციული ხელსაქმე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა, სათბურები, სასმელი წყლის მომარაგების სისტემები და სხვ.). ყაზბეგის რაიონში დაგეგმილი და მიმდინარე ჰესების ბუმი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი რამოდენიმე მილიონიანი, არამედ სხვა პერსპექტიული დახმარებების დაკარგვის მიზეზი.

### პროექტის დაწყება მემორანდუმით განსაზღვრულ ვადებში

გზმ ანგარიშის მიხედვით (გვ. 19), „სამუშაოთა მოცულობების, მიღებული ტექნოლოგიების და განხორციელების პირობების საფუძველზე შედგენილია მშენებლობის კალენდარული გრაფიკი და განსაზღვრულია მშენებლობის ხანგრძლივობა, რაც შეადგენს 521 კალენდარული დღეს, ანუ 427 სამუშაო დღეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდი და კონსტრუქტორის მობილიზაცია 17 დღე, ძირითადი 410 დღე“. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობასთან დადებული მემორანდუმით განსაზღვრულ ვადაში (2013 წლის 15 აგვისტო) პროექტის დასრულება შეუძლებელია, რაც წარმოადგენს ამ განკარგულებისა და მემორანდუმის დარღვევას. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმისათვის, რომ წარმოდგენილ პროექტზე არ გაიცეს მშენებლობის ნებართვა.

გარემოს დაცვის სამინისტრო, საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშზე გაკეთებულ შენიშვნებში (შენიშვნა N10), სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ გზმ-ს ანგარიშის 22-ე გვერდზე წარმოდგენილ მშენებლობის კალენდარულ გრაფიკსა და მშენებლობის დაწყებისა (2012 წლის მარტი) და დასრულების (2013 წლის აგვისტო) თარიღებს შორის არის შეუსაბამობა, რაც დაზუსტებას მოითხოვს. სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნისათვის წარმოდგენილ გზმ ანგარიშის საბოლოო ვარიანტში ეს უზუსტობა გასწორებული არ არის. ამ შენიშვნასთან დაკავშირებით შპს „ყაზბეგი ჰესი“ პასუხობს, რომ „შეტანილია შესწორება<sup>8</sup>, მშენებლობა დაიწყება 2013 წლის მარტში და დასრულდება 2014 წლის აგვისტოში“. როგორც აღვნიშნეთ, მემორანდუმში დასრულების თარიღად აღნიშნულია 2013 წლის 16 აგვისტო. გზმ ანგარიშს 22-ე გვერდზე მოცემული მშენებლობის კალენდარულ გრაფიკიდან ცნობილი ხდება, რომ მემორანდუმის განსაზღვრული პირობების შესასრულებლად, კომპანიას მშენებლობა უნდა დაეწყო ერთი წლის წინ, 2012 წლის მარტში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ შპს „ყაზბეგი ჰესი“ დაარღვია მასსა და საქართველოს მთავრობასა და სს „ეკოს“ შორის დადებული მემორანდუმი, რაც მისი ბათილობის საფუძველი უნდა გახდეს. შესაბამისად, მემორანდუმის ბათილობა კიდევ ერთ საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ არ გაიცეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მშენებლობის ნებართვა.

### საზოგადოების ინფორმირება და კონსულტაცია

<sup>8</sup> სინამდვილეში შესწორება გზმ-ს ტექსტში არ არის შეტანილი და ისევ ძველი რედაქციითაა წარმოდგენილი

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის მადიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიში.

იმავ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს გზშ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში. ხოლო კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და მათი ავტორისთვის (ავტორებისთვის) გაგზავნა. ეს წერილობითი დასაბუთება (შესაბამის წერილობით შენიშვნებთან და მოსაზრებებთან ერთად) საქმიანობის განმახორციელებელმა, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების ამსახველ ოქმთან და გზშ-ის ანგარიშთან ერთად, უნდა წარადგინოს ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში). ამ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტები გზშ-ის ანგარიშის განუყოფელი ნაწილია.

შპს „ყაზბეგი ჰესის“ მიერ გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებული განცხადებაში<sup>9</sup> აღნიშნული იყო, რომ „კომენტარები „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“-ზე დაინტერესებულ მხარეთაგან მიიღება 24.12.2012-ის ჩათვლით“. ამ გარემოების გათვალისწინებით, „მწვანე ალტერნატივამ“ და „სტეფანწმიდას“ 2012 წლის 24 დეკემბერს საქმიანობის განმახორციელებელს წარუდგინეს ერთობლივი შენიშვნები და კომენტარები ყაზბეგის რაიონში, მდ. ბროლისწყალზე 6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საზოგადოებრივი განხილვისთვის წარმოდგენილი ვერსიის თაობაზე. დოკუმენტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაიგზავნა და ბატონმა ლაშა იორდანიშვილმა შენიშვნების მიღების ფაქტიც დაგვიდასტურა.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ეკოლოგიური ექსპერტიზის მოსაპოვებლად წარდგენილ დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი „მწვანე ალტერნატივასა“ და „სტეფანწმიდას“ შენიშვნები და შესაბამისად, არც მათი გათვალისწინების ან გაუთვალისწინებლობის შესახებ ინფორმაცია. თუ ვივარაუდებთ, რომ კომპანიამ არ გაითვალისწინა არცერთი შენიშვნა, „მწვანე ალტერნატივასაც“ და „სტეფანწმიდასაც“ უნდა მიეღო შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება - რასაც ადგილი არ ჰქონია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპანიამ შენიშვნებზე პასუხის გასაცემად არ გამოიყენა კანონით მინიჭებული ვადა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (რომელშიც უნდა ყოფილიყო ასახული ჩვენს შენიშვნებზე პასუხი) 2012 წლის 24 დეკემბერს წარუდგინა; ანუ, მაშინ როდესაც საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, დაინტერესებულ საზოგადოებას ჯერ კიდევ ჰქონდა შენიშვნების წარდგენის უფლება.

ამგვარად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გზშ ანგარიშის ამჟამინდელ ვერსიაში არ არის წარმოდგენილი მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას მიერ წარდგენილი შენიშვნების გაუთვალისწინებლობის დასაბუთება, გარემოს დაცვის სამინისტრო ეკოლოგიურ ექსპერტიზას უტარებს დოკუმენტს, რომელიც არ არის კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ის ანგარიში.

<sup>9</sup> იხ. <http://24saati.ge/index.php/tenders/view/13481>

მწვანე ალტერნატივასა და სტეფანწმიდას შენიშვნები „ყაზბეგის ჰესი“-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გზშ ანგარიშის თაობაზე, 4 მარტი, 2013